

ჩვენს მიერ შეგროვებული ინფორმაცია და მისი გამოყენება

პერსონალური ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ

პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;

ჩვენი საიტი თქვენს პერსონალურ მონაცემს იღებს და ამუშავებს მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულ ორ შემთხვევაში: არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა ან/და მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა. იმავე კანონით თანხმობა არის - მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება.

ამიტომ, გთავაზობთ რამოდენიმე ვარიანტს, რომლის მიხედვითაც შეგიძლიათ აირჩიოთ ინფორმაციის მოწოდების ვარიანტი:

- საიტზე ანგარიშის შექმნა(მოიცავს: სახელი და გვარი, ელ-ფოსტა, ტელეფონი და პაროლი);
- რეგისტრაცია სოციალური ქსელების საშუალებით (Facebook, Google+ და ა.შ.);
- ჩვენთან საჭიროებისამებრ კავშირი ელ-ფოსტის საშუალებით, მათ შორის ტექნიკური და კლიენტთა მომსახურების მხარდაჭერის მისაღებად.

გამომდინარე იქედან, თუ როგორ ურთიერთობთ საიტთან, პერსონალური ინფორმაცია, რომელსაც თქვენგან ვიღებთ, შეიძლება იყოს განსხვავებული. მაგალითად, იმისათვის, რომ შეიქმნას ანგარიში, ჩვენ ვითხოვთ ელექტრონული ფოსტის მისამართის, პაროლის, სახელის და გვარის, ელ-ფოსტის მისამართის და ტელეფონის ნომრის შეყვანას.

თუ თქვენ ერთვებით საიტზე Facebook-ის, Google+ ან სხვა სოციალური ქსელის მეშვეობით (თითოეული როგორც „სოციალური ქსელი“), ჩვენ მივიღებთ იმ პერსონალურ მონაცემებს, რაც გაქვთ ამ ქსელებში, ასევე ინფორმაციას თქვენი კონტაქტების და მეგობრების შესახებ. ნებისმიერ ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ სოციალური ქსელის თქვენი ანგარიშიდან, დამოკიდებულია იმ მონაცემებზე და ანგარიშის პარამეტრებზე, რაც მითითებული გაქვთ. ამიტომ, გთხოვთ, გადახედეთ სოციალური ქსელის პირობებს პერსონალური ინფორმაციისა და მონაცემების გამოყენების შესახებ.

საჯარო ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ

ჩვენ ასევე ვაგროვებთ საჯარო ინფორმაციას. საჯარო ინფორმაციაა - მონაცემები იმ ფორმაში, რომელიც არუშვებს პირდაპირ კავშირს რომელიმე კონკრეტულ პიროვნებასთან. ჩვენ შეგვიძლია შევაგროვოთ, გამოვიყენოთ, გადავცეთ, გავყიდოთ და გავხსნათ საჯარო ინფორმაცია ნებისმიერი მიზნით. შეყვანილი მონაცემები ითვლება არაპირადულ ინფორმაციად და კონფიდენციალობასთან კავშირში არ არის. თუ ჩვენ გავაერთიანებთ საჯარო ინფორმაციას თქვენს პირად მონაცემებთან, მაშინ გაერთიანებული მონაცემები განიხილება, როგორც პერსონალური ინფორმაცია მანამ, სანამ ისინი გაერთიანებული იქნება.

კომერციული საიდუმლოება

ჩვენი საიტი არ აგროვებს კომერციული საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას და საიტზე მსგავსი ტიპის ინფორმაციის გამოქვეყნება სასტიკად აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამას ამ ინფორმაციის კანონიერი მფლობელი ან მისი თანხმობით სხვა ნებისმიერი პირი აქვეყნებს. კომერციული საიდუმლოება

არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

ინტელექტუალური საკუთრება

ჩვენ არ ვაგროვებთ ინტელექტუალურ საკუთრებას, გარდა იმ შემთხვევისა როცა მას თავად ამ უფლების მესაკუთრე ან მისი წარმომადგენელი ავრცელებს. ინტელექტუალურ საკუთრებასთან და საავტორო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით დავები გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით და ჩვენი საიტი მზადყოფნას გამოთქვამს ამ უფლებების შელახვის შემთხვევაში სათანადო უწყებებს ან დაზარალებულ მხარეს მიაწოდოს ის ინფორმაცია რომელიც ჩვენს საიტზე გავრცელდა და რომელიც პირდაპირ კავშირშია ჭეშმარიტების დადგენის მიზანთან.

როგორ ვამუშავებთ ინფორმაციას

ჩვენი საიტის მიერ მონაცემთა დამუშავება რეგულირდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის შემოთავაზებულ რეგულაციაში. კერძოდ, მონაცემთა დამუშავება ნიშნავს: ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება. ჩვენი საიტის მხრიდან კი მოცემული დეფინიციის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მხოლოდ შემდეგნაირად:

- თქვენი ანკეტის შესავსებად;
- კონტენტის დასაგენერირებლად დასაქმებულთა ინფორმაციის, ინტერვიუების, სახელფასო ანგარიშების მიმოხილვის წარმოებისთვის და მეორე კონტენტი, რომელიც მომსახურებას გაუწევს მომხმარებლებს;
- ფუნქციების და მოქმედებების უკეთ გასაგებად, ასევე საიტის მხარდასაჭერად
- შიდა ოპერაციების, მათ შორის ხარვეზების აღმოფხვრის მონაცემთა ანალიზის, ტესტირების, კვლევის და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით;

Jobrate.ge-ის გამოყენების პირობები

გამოყენების პირობები მოქმედი ხდება არაწევრი და წევრი ვიზიტორებისთვის მისი გადახედვის შემდეგ. აღნიშნული პირობები (შემდეგში „პირობები“) უზრუნველყოფს ხელმისაწვდომი გახადოს ჩვენი ვებ-გვერდების, ელ-ფოსტის და ბმულების მოხმარება თქვენთვის. ეს პირობები ასევე ითვალისწინებს კონფიდენციალობის პოლიტიკას. Jobrate.ge-ზე შესვლით და მისი გამოყენებით თქვენ ეთანხმებით აღნიშნულ პირობებს. თქვენ არ შეგიძლიათ გამოიყენოთ Jobrate.ge-ი, თუ არ დაეთანხმებით წარმოდგენილ პირობებს.

Jobrate.ge-ის გამოყენების უფლება

Jobrate.ge-ზე წვდომის ან მისი გამოყენებისთვის თქვენ უნდა იყოთ მინიმუმ 18 წლის. გკონდეთ საშუალება და იყოთ უფლებამოსილი ურთიერთობის პირობების გასაფორმებლად. შეიძლება განხილულ იქნას გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც დაიშვება ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად და საშუალებას მოგცემთ Jobrate.ge-ი გამოიყენოთ არაკომერციული მიზნებისთვის. - ასაკი და წერილობითი

თანხმობა, არარეგისტრირებული პირებისთვის - კომერციული და საინფორმაციო მიზნები, თუ თქვენ გსურთ Jobrate.ge-ის კომერციული მიზნებით გამოყენება, აუცილებელია ჩვენთან გააფორმოთ ხელშეკრულება. თქვენ ვერ შეძლებთ Jobrate.ge-ის გამოყენებას თუ ჩვენ შევაჩერეთ ან წავშალეთ თქვენი ანგარიში.

თქვენი Jobrate.ge-ანგარიში

Jobrate.ge ანგარიში - Jobrate.ge-ის წევრობისთვის (შემდეგში "წევრი"), ჩვენ გთავაზობთ ანგარიშის დარეგისტრირებას ვიზიტორის სახელისა და პაროლის შეყვანით. რეგისტრაციისთვის ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა მოთხოვნები. პაროლის კონფიდენციალობის დაცვაზე სრული პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენ. ასევე, თქვენ ეთანხმებით არ გამოიყენოთ სხვისი ანგარიშის მონაცემები და პაროლი ნებისმიერ დროს. თქვენ ეთანხმებით, რომ დაუყოვნებლივ გვაცნობებთ თუ მოხდება თქვენი პაროლის ან ანგარიშის არასანქცირებული გამოყენება. თქვენ გეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა თქვენი ანგარიშის გამოყენებაზე. პაროლი ექვემდებარება შეცვლას ან გაუქმებას ნებისმიერ დროს.

საიტზე შესვლა სოციალური ქსელით -თუ Jobrate.ge-ში შედიხართ სოციალური ქსელით, როგორცაა Facebook Google+ ან სხვა(შემდეგში წოდებული „სოციალური ქსელის საიტი“), თქვენ ეთანხმებით, რომ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ, წარმოვადგინოთ და შევინახოთ (თუ საჭიროა) ნებისმიერი ინფორმაცია, მონაცემები, ტექსტი, შეტყობინებები, თეგები და/ან სხვა მასალები, რომლებიც თქვენ განთავსებული გაქვთ სოციალური ქსელის ანგარიშში.

გახსოვდეთ: სოციალურ ქსელებთან თქვენი ურთიერთობა იმართება თქვენსა და სოციალურ ქსელს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე და ჩვენ უარს ვაცხადებთ პასუხისმგებლობა ავიღოთ იმ პირადი ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით გამოვლენილ კონფიდენციალობის პირობების დარღვევებზე, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სოციალური ქსელის მხრიდან.

Jobrate.ge-ის თქვენს მიერ გამოყენება

ქცევის წესები - თქვენ გამოიყენებთ Jobrate.ge-ს კანონიერების ფარგლებში და/ან ვალდებულებების შესაბამისად (მათ შორის მოლაპარაკების პირობების) რომელიც ასევე შეიძლება გქონდეთ მესამე პირის მიმართ.

არ გაქვთ უფლება:

- Jobrate.ge-ზე დაამატოთ ახალი პროგრამული უზრუნველყოფა და ავტომატიზირებული აგენტები, ან მოახდინოთ რამოდენიმე ანგარიშიდან ავტომატიზირებულად გენერირებული შეტყობინებების დაგზავნა და დაყოთ Jobrate.ge-ის ძირითადი მონაცემები.
- ჩაერიოთ, დაარღვიოთ ან ზედმეტად გადატვირთოთ Jobrate.ge-ის ან მასთან დაკავშირებული სერვისების ქსელი;
- ჩაერიოთ, დაარღვიოთ, მოდიფიცირება გაუკეთოთ, გადააკეთოთ მონაცემები ან შეცვალოთ Jobrate.ge-ის ფუნქციონალური შესაძლებლობები.

მესამე მხარის ვებ-გვერდების ბმულები -Jobrate.ge-ი შეიძლება შეიცავდეს მესამე მხარის ვებ-გვერდების ბმულებს, რომლებიც ჩვენს მიერ განთავსებულია მათთვის, ვინც ამ ინფორმაციით დაინტერესებულია ან გაზიარებულია სხვა წევრების მიერ. ასეთი ბმულების არსებობის შემთხვევაში, თქვენ სრულად ხართ პასუხისმგებელი მათი გამოყენებისას და რისკს იღებთ საკუთარ თავზე. ჩვენ არ ვახდენთ აღნიშნული ბმულების მონიტორინგს ან კონტროლს, არ გვაქვს პრეტენზიები და არ ვაკეთებთ რაიმე სახის განცხადებას მესამე პირების ვებ-გვერდების ბმულებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევებში, როცა ასეთი ბმულები

წარმოდგენილია ჩვენს მიერ, ეს გათვლილია მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენმა მომხმარებელმა მოხერხებულად შეძლოს მესამე პირის ვებ-გვერდებზე გადასვლა, თუმცა ეს არ ნიშნავს ჩვენი მხრიდან ამ ბმულების სპონსორობას ან მათზე გაწვევრიანების მოწოდებას. როცა თქვენ დატოვებთ Jobrate.ge-ს, ჩვენი წესები და პირობები წყვეტენ მოქმედებას.

მესამე მხარის მიერ განთავსებული კონტენტი Jobrate.ge-ზე - სხვა წევრები, ვიზიტორები, რეკლამის დამკვეთები და ნებისმიერი მესამე მხარე ხელმისაწვდომი ხდება თქვენთვის Jobrate.ge-ის საშუალებით. ("კონტენტი") გულისხმობს ნებისმიერ საავტორო სამუშაოს ან ინფორმაციას ხელფასის, კომპანიის შესახებ, ინტერვიუს, ფოტოსურათებს, განცხადებებს, დამსაქმებლის პროფილის ინფორმაციას, რეკლამებს, კომენტარებს, მოსაზრებებს, პოსტებს, რეზუმეს, შეტყობინებებს, ტექსტებს, ფაილებს, სურათებს, გამოსახულებებს, საავტორო ნამუშევრებს, ელ-ფოსტას ან სხვა მასალებს, რომელთა ნახვაც შეგიძლიათ Jobrate.ge-ზე. გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ არ ვაკონტროლებთ მსგავს კონტენტებს, თქვენთვის გასაგებია და ეთანხმებით რომ: (1) ჩვენ პასუხისმგებელი არ ვართ და არ ვადასტურებთ მსგავსი ტიპის კონტენტებს, რომლებიც შეიცავენ რეკლამას და მესამე მხარის პროდუქტის შესახებ ინფორმაციას ან მომსახურებას, განცხადებებს ვაკანსიებზე, დამსაქმებელზე, ინტერვიუს და სახელფასო მონაცემების შემცველ ინფორმაციას, რომლებიც წარმოდგენილია ანონიმურად სხვა მომხმარებლის მიერ; (2) ჩვენ არ ვიძლევით გარანტიას მსგავს კონტენტებში მოცემული ინფორმაციის სიზუსტესთან, ფასეულობასთან, შესაბამისობასთან ან ხარისხთან დაკავშირებით და (3) ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას წინდაუხედავი, არასასურველი, დამაზნეველი ან უკანონო მონაცემების გამოქვეყნებაზე, რომელიც წარმოდგენილია სხვა მომხმარებლების, რეკლამის დამკვეთების ან ნებისმიერი მესამე პირის მიერ.

Jobrate.ge-ზე თქვენი კონტენტის გამოყენების პირობები

თქვენი უფლებები თქვენს კონტენტზე - თქვენ უფლება გაქვთ ყველა კონტენტზე ("თქვენი კონტენტი"), რომელიც გამოქვეყნებულია Jobrate.ge-ზე თქვენი ანგარიშის გამოყენებით, მათ შორის იმ ინფორმაციაზეც, რომელსაც ჩვენ გვაწვდით თქვენი კონტენტის შესახებ. თქვენ ეთანხმებით, რომ Jobrate.ge-ზე კონტენტის გამოქვეყნებისას ის უნდა ინახოს და დადასტურდეს ჩვენი გუნდის მიერ, ყველა წესის შესაბამისად.

თქვენი კონტენტის წარმომადგენლობა. თქვენ წარმოადგენთ და გარანტიას იძლევით, რომ:

- თქვენ ხართ ამ კონტენტის მფლობელი მისი გამოყენების შესახებ, რაც გათვალისწინებულია ამ პირობების შესაბამისად;
- თქვენი კონტენტი არ არღვევს პირად უფლებებს, საჯარო უფლებებს, გადაწერის უფლებებს, ან რომელიმე ადამიანის სხვა უფლებებს;
- კონტენტის წარმოდგენის და გავრცელებისას თქვენ არ არღვევთ კონფიდენციალობას, არ ამჟღავნებთ საიდუმლოს, ან საკონტრაქტო პირობებს, თქვენი ახლანდელი, წინა ან პოტენციური დამსაქმებლის შესახებ;
- ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც თქვენ ავრცელებთ ხელფასის, კომპანიის, ინტერვიუს, დამსაქმებლის, სამუშაოს შესახებ, ასევე ფოტო და პირადი ინფორმაცია უნდა იყოს სწორი;
- ნებისმიერი ინფორმაცია, გავრცელებული თქვენი მიმდინარე, ყოფილი ან პოტენციური სტატუსის - როგორც ამა თუ იმ დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის შესახებ, უნდა იყოს სწორი და სრული.
- ნუ წარმოადგენთ ისეთ ინფორმაციას, რომლის გავრცელების უფლება არ გაქვთ, მათ შორის სახელშეკრულებო ან კანონით გათვალისწინებულს, რადგან ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც გაასაჯაროებთ ნანახი იქნება Jobrate.ge-ის ვიზიტორების მიერ.

აკრძალული კონტენტი - თქვენ ეთანხმებით, რომ არ გამოაქვეყნებთ ისეთ კონტენტებს, როგორცაა:

- ნებისმიერი სახის ჯგუფის ან ინდივიდუალური პირის ფიზიკური განადგურების, დაშინების, თვალთვალის და რასისტული მოწოდებების შემცველი, ატარებს პორნოგრაფიულ, სექსუალურ ხასიათს, ხულიგნურ, შემაწუხებელ ან სუბიექტურ ინფორმაციას;
- მოიცავს ე.წ. "junk mail"-ებს, "chain letters"-ს, ან დაუმუშავებელ წერილებსა თუ "spam"-ს;
- შეიცავს ცრუ ან დამაბნეველ ინფორმაციას, ასევე სუბიექტურ და/ან კანონსაწინააღმდეგო მოწოდებას, რომელიც არის შეურაცხყოფის ან მუქარის შემცველი;
- წარმოადგენს რაიმე კონკრეტულ სარეკლამო, კოპირებულ, უკანონოდ მოპოვებულ ან არასანქცირებულ ინფორმაციას, როგორცაა პირატული კომპიუტერული პროგრამები ან მათი ბმულები. შეიცავს რომელიმე კომპიუტერული პროგრამის დამცავ, ჩამოსატვირთ ვერსიას ან პირატულ მუსიკალურ, ვიდეო ან ფილმების ფაილებს;
- გულისხმობს არასრულწლოვანებისთვის შეზღუდული ინფორმაციის მიწოდებას (18 წლამდე პირები), როგორცაა სექსუალური ან ძალადობის ტიპის ინფორმაცია და/ან ფაილის სანახავად მოითხოვს პირადი ინფორმაციის მიწოდებას 18 წლამდე ასაკის პირებისგან;
- წარმოადგენს არალეგალური აქტივობის პროპაგანდას, როგორცაა არალეგალურად იარაღის შეძენა, ვინმეს სიცოცხლის ხელყოფა ან კომპიუტერული ვირუსებისა და ჰაკერული კოდების შექმნა;
- შეიცავს საიდენტიფიკაციო ინფორმაციას, როგორცაა საპასპორტო მონაცემები, ეროვნების საიდენტიფიკაციო მონაცემები, მართვის მოწმობის მონაცემები, საიმიგრაციო მონაცემები ან რაიმე მსგავსი ტიპის ინფორმაციას;
- წარმოადგენს ინფორმაციას, რომელიც ახორციელებს პაროლების ან სხვა კომერციული საიდუმლოების გასაჯაროებას;
- გარდა ჩვენს მიერ დამტკიცებული ინფორმაციისა, მოიცავს კომერციული და/ან სარეკლამო ტიპის ინფორმაციას, როგორცაა: კონკურსები, აქციები, ბარტერი, გათამაშებები, პირამიდული სქემები, რეკლამა, საპარტნიორო ბმულები და სხვა მსგავსი ტიპის ინფორმაციას;
- შეიცავს დაზიანებულ ფაილებს, ვირუსულ პროგრამებს, ან მსგავს ფაილებს;
- შეიცავს შეტყობინებას ან ისეთი სახის ინფორმაციას რომელიმე სავალდებულო კონფიდენციალურობის, საიდუმლო ინფორმაციის, სახელშეკრულებო პირობების და/ან რომელიმე მესამე პირის უფლებების დარღვევის შესახებ. მათ შორის ნებისმიერი არსებული, ყოფილი ან პოტენციური დამსაქმებლის შესახებ ინფორმაციას;

კონტენტის წაშლა- რამდენადაც Jobrate.ge-ს უფლება აქვს წამალოს არასასურველი კონტენტი, ჩვენ ვიყენებთ ამ უფლებას და კონტენტის შემოწმების შემდეგ, თუ ჩავთვლით, რომ ის ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ წარმოდგენილ წესებს და მოთხოვნებს, მივიღებთ მისი წაშლის (ან შეცვლის) გადაწყვეტილებას. თუ თქვენ აღმოაჩენთ ნებისმიერ კონტენტს, რომელიც თქვენი აზრით არღვევს წესებს და მოთხოვნებს, თქვენ შეგიძლიათ კონტენტთან არსებული შეტყობინების ბმულით მოგვაწოდოთ ამის შესახებ ინფორმაცია (ბმულის დასახელება: "შეუსაბამო" ან "დროშა გამოხმაურება") ან დაგვიკავშირდით. ინფორმაციის მიღების შემდეგ ჩვენ გადავხედავთ კონტენტს და მივიღებთ მისი მოდიფიკაციის ან წაშლის ობიექტურ გადაწყვეტილებას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ: ჩვენი წესების და პირობების განმარტება კონტენტის რედაქტირების ან წაშლის შესახებ არ სცილდება ჩვენს მიერ დადგენილ წესებს და პირობებს. თქვენ გესმით, ეთანხმებით ჩვენს წესებს და მიღებულ გადაწყვეტილებას კონტენტთან დაკავშირებით - მისი წაშლის ან რედაქტირების შესახებ, რომელიც ჩვენი მხრიდან მიღებული იქნება წესებისა და პირობების სრული დაცვით და არ დაარღვევს თქვენთან შეთანხმებულ რომელიმე დებულებას.

სხვა სააღსრულებო ქმედებები - რამდენადაც ჩვენ არ გვაქვს ამის ვალდებულება, უფლებას ვიტოვებთ თქვენს წინააღმდეგ დამატებითი ზომები მივიღოთ შეუზღუდავად იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან გამოვლინდება წესებისა და პირობების რაიმე სახით დარღვევა, როგორც არის: Jobrate.ge-დან კონტენტის წაშლა (ან რედაქტირება); თქვენი უფლებების შეზღუდვა Jobrate.ge-ის გამოყენებასთან დაკავშირებით; თქვენი ანგარიშის და წევრობის გაუქმება; თქვენი პასუხისმგებლობის დაყენება და ინფორმაციის სამართალდამცავი, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული ორგანოებისთვის მიწოდება და თქვენს წინააღმდეგ კანონიერი ქმედებების გამოყენება.

ჩვენი წევრების დაცულობა - რამდენადაც ჩვენ გვაქვს უფლება დავიცვათ ჩვენი წევრები, ვიყენებთ ამ უფლებას და ვიცავთ ჩვენი წევრების ანონიმურობას, რაც გულისხმობს მათი საინტენტიფიკაციო და პირად საკონტაქტო ინფორმაციის დაცვასაც.

Jobrate.ge-ის კონტენტის უფლებები

Jobrate.ge-ი შეიცავს კონტენტს, რომელიც წარმოდგენილია ლიცენზიანტების მიერ. ჩვენ და ჩვენი ლიცენზიანტები (სხვა ვიზიტორების ჩათვლით) ვართ ყველა იმ ინტელექტუალური ქონების მფლობელები, რაც მოცემულია გამოქვეყნებულ კონტენტში და Jobrate.ge-ის უფლება ვრცელდება ყველა სახის ქონებაზე, რაც მოცემულია მის ვებ-გვერდზე. თუ თქვენ ხართ ვიზიტორი, ჩვენს საიტზე გექნებათ შეზღუდული უფლებები გამოხმაურებებთან, კონტენტების დაკოპირებასთან, ჩამოტვირთვასთან, დაბეჭდვასთან დაკავშირებით, ასევე კონტენტის პირადი გამოყენებისა და Jobrate.ge-თან დაკავშირებისთვის. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე თქვენ ეთანხმებით, რომ არ განახორციელებთ ისეთ ქმედებებს, რომელიც დაკავშირებული იქნება: (1) ინფორმაციის აღდგენასთან, მოდიფიკაციასთან, გადაცემასთან, გავრცელებასთან, საჯარო გამოქვეყნებასთან, გაყიდვასთან და Jobrate.ge-ის ან კონტენტის შემადგენელი ინფორმაციის გადამუშავებასთან. (2) Jobrate.ge-ზე წვდომის გაქირავებასთან, დაგირავებასთან ან გაყიდვასთან.

Jobrate.ge ® - არის Jobrate.ge, Inc-ის რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი, აქვს ლოგო და მომსახურების ნიშნები ("ნიშნები"). Jobrate.ge-ზე წარმოდგენილი მასალა არის ჩვენი ქონება ან მესამე პირის ქონება. თქვენ არ გაქვთ ამ ნიშნების ჩვენი ან მესამე მხარის წინასწარი წერილობით თანხმობის გარეშე გამოყენების უფლება.

პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება და/ან შეზღუდვა

შეზღუდვები და პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამ პუნქტის შესაბამისად არ იზღუდება არც ერთი თქვენი უფლება და არ დგება თქვენი პასუხისმგებლობის საკითხი, თუ რომელიმე მათგანი არ არის კანონით შეზღუდული.

თქვენ გეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა რეკლამის დამკვეთებთან და სხვა მომხმარებლებთან ურთიერთობისას, ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას Jobrate.ge-ის არც ერთი ვიზიტორის ქმედებაზე, იქნება ეს ავტომატურ თუ ონლაინ რეჟიმში. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას რაიმე სახის შესაძლო შეცდომებზე ან მასალების უზუსტობაზე (მათ შორის პროფილის შემადგენელ ინფორმაციაზე), რომლებიც განთავსებულია Jobrate.ge-ზე.

ჩვენ ასევე არ ვიღებთ პასუხისმგებლობას თქვენი მხრიდან სხვა მომხმარებლებთან რაიმე სახის კავშირზე, რომლის დროსაც განხორციელდა ინფორმაციის წაშლა, დახარვეზება, გადაცემის შეფერხება, კავშირის გაწყვეტა, ქურდობა, არასანქცირებული წვდომა ან ცვლილებები. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას რომელიმე პრობლემაზე ან ტექნიკურ ხარვეზზე რომელიც განხორციელდება ინტერნეტში ან Jobrate.ge-ზე და/ან ორივეგან ერთდროულად, რომლის დროსაც ადგილი აქვს ვიზიტორის დაზარალებას ფაილების

ჩამოტვირთვის, Jobrate.ge-ზე ინფორმაციის გამოქვეყნების ან სხვა ტიპის ინტერაქციული ქმედების დროს - “online” თუ “offline” რეჟიმში.

პირობების შეცვლა

აღნიშნული წესების გადახედვა და შეცვლა ჩვენ შეგვიძლია Jobrate.ge-ის განახლებული ვერსიის ჩაშვებისას და თქვენ ეთანხმებით, რომ გადახედილი პირობები ძალაში შევა მათი შეცვლიდან 7 დღის განმავლობაში. თქვენს მიერ Jobrate.ge-ის გამოყენების პირობებად ჩაითვლება ბოლოს განახლებული დოკუმენტის შესაბამისი პირობები.

დავების გადაწყვეტა

ნებისმიერი დავა გადაწყდება გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საერთო სასამართლოების საშუალებით.

წევრების გზამკვლევი

ჩვენი დაპირება

Jobrate.ge-ი გპირდებათ, რომ იქნება ყველაზე გამჭვირვალე და სანდო ადგილი სამუშაოს და კომპანიის მაძიებლებისთვის. ჩვენ ვიცავთ ამ მარტივ პრინციპს და წესებს ვიყოთ რეალურად ტრანპარენტულები და სამუშაოს მაძიებლებს წარვუდგინოთ ფასეული ინფორმაცია იმისათვის, რომ ჩავაყენოთ დამსაქმებლებთან თანაბარ პირობებში:

- ჩვენ არასოდეს ჩავასწორებთ ან შევცვლით კონტენტს
- ჩვენ არასოდეს ავკრძალავთ, გავფილტრავთ ან წავშლით კონტენტს მარტივად, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ნეგატიურია/დაბალრეიტინგულია, ან პოზიტიური/მაღალრეიტინგულია.
- ჩვენ ვიყენებთ ტექნოლოგიურ ფილტრებს და ალგორითმებს იმისათვის, რომ შევძლოთ თაღლითობის შემთხვევების გამოვლენა და კონტენტის ყველა წარმომადგენლის ელ-ფოსტის, Facebook-ის თუ სხვა სოციალური ქსელის ანგარიშის გადამოწმება.
- ჩვენ ნეიტრალური ვრჩებით კამათის ნებისმიერ შემთხვევაში და არ ვმონაწილეობთ როგორც ფაქტის შემსწრენი.
- ჩვენ გვჯერა ანონიმურობის პრინციპის - ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება ან შიშის გარეშე გადაამოწმოს მუქარა და რაიმე სახის არასასურველი ინფორმაცია.
- ჩვენ გვჯერა, რომ ყველა დამსაქმებელს აქვს უფლება უპასუხოს საზოგადოების წევრის მიერ დატოვებულ გამოხმაურებას.
- გაითვალისწინეთ, რომ Jobrate.ge-ი იყენებს ტერმინს „კონტენტი“ - განხილვებთან, ინტერვიუ-განხილვებთან, სახელფასო ინფორმაციასთან და სხვა წარმოდგენილ ინფორმაციასთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ჩვენ მოგვწონს, როცა კომპანიები ახალისებენ თავიანთ თანამშრომლებს და ვაკანსიაზე წარმოდგენილ კანდიდატებს იმისათვის, რომ გულახდილი გამოხმაურებები დაწერონ Jobrate.ge-ზე, მაგრამ ძალიან გთხოვთ, ნუ შესთავაზებთ ვინმეს გამოხმაურებების დაწერის სანაცვლოდ კომპენსაციას. ჩვენ წავშლით ყველა გამოხმაურებას, რომლის შესახებაც გვექნება ინფორმაცია, რომ აღნიშნულ ქმედებაში გადახდილი იქნა კომპენსაცია ან ჩავთვლით რომ შეფასება არაკეთილსინდისიერად არის გაკეთებული.

იმედს ვიტოვებთ, რომ ყველა ჩვენი წევრი დაიცავს Jobrate.ge-ის მოხმარების წესებს, პირობებს და კონფიდენციალობის პოლიტიკას. Jobrate.ge-ი უფლებას იტოვებს ნებისმიერ დროს, ნებისმიერი მიზეზით წაშალოს გამოხმაურება ან დამსაქმებლის ინფორმაცია. Jobrate.ge-ზე გამოქვეყნებული დადასტურებული მიმოხილვები არის ინდივიდუალური და სუბიექტური. განხილვებში გამოთქმული აზრი არის Jobrate.ge-ის წევრების და არა ადმინისტრაციის მოსაზრებები.

თუ Jobrate.ge-ზე ნახავთ ისეთ რამეს, რაც თქვენი აზრით არღვევს ჩვენს წესებს, უნდა გვაცნობოთ. ჩვენ გიპასუხებთ ელ-ფოსტით ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ. ჩვენ არ ვიღებთ და არ ვპასუხობთ სატელეფონო ზარებს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მეორეს მხრივ, კონტენტის მონიშვნა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ის წაიშლება საიტიდან, რადგან ჩვენი საზოგადოების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ რაიმე იყოს პირადად თქვენთვის შემაწუხებელი და მიუღებელი, მაგრამ არ პასუხობდეს ინფორმაციის დაბლოკვისა და წაშლისათვის დაწესებულ კრიტერიუმებს.